



ბორჯონი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

20 თებერვალი

საბჭოთაო

2025 წლი

№7 (9373)

ზარი 40 თეთრი

ზამთრის სახეობებით იაპაყებო



საქართველოს სამი ქალაქი: ბაკურიანი, თბილისი და ბათუმი ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობდა. ტურნირის ფარგლებში ჩვენს ქვეყანაში ზამთრის სპორტის 8 სახეობაში 45 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი იმყოფებოდა. საქართველო კი სამ სახეობაში 8 მონაწილთა ასპარეზობდა.

ბაკურიანი 2025-ის მიმართ საერთაშორისო დაინტერესება დიდია. უცხოელი დამკვირვებლები ტურნირს ყოველი სამედიცინო დღის ბოლოს აჯამებდნენ და როგორც ინფრასტრუქტურით, ასევე საორგანიზაციო კუთხით კმაყოფილი დარჩნენ.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სპიროს კაპარლოსმა ქართულ და საერთაშორისო მედიასთან ონლაინ პრესკონფერენცია გამართა.

მან საქართველოში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობაზე, ტურნირის მიმდინარეობასა და სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრა.

„ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, ისეთ ქვეყანას, როგორც საქართველო, აძლევს შესაძლებლობას განავითაროს ზამთრის სპორტის სახეობები. ბაკურიანი მსგავსი ადგილის პროგრესისთვის, სადაც მომავალი მსოფლიო თასები და მსოფლიო ჩემპიონატები ჩატარდება, მშენიერი ადგილია და საქართველო ზამთრის სპორტის რუკაზე უკვე მონიშნა.“

ამ ღონისძიებების კარგად მასპინძლობა ქართველ სპორტსმენებს საშუალებას მისცემს ნახონ, რას აკეთებენ სხვა ქვეყნები და რა ჭირდება ჩემპიონობას. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, შესანიშნავი მასპინძლები ხართ. ორგანიზატორები და მოხალისეები, რომლებსაც ყოველდღე ვხვდებით, სულ ილიმიან. ასეთ რამეს ბევრგან ვერ ნახავ, მათ შორის უფრო დიდ ტურნირებზე.

ბზე. ჩამოსულ სპორტსმენებს უხარიათ ის პირობები, რაც აქვთ. გამოსარჩევია ქართული საკვები და სპორტსმენთა სოფლის პირობები.

საქართველოში ორი წლის წინაც ვიყავი და მაშინ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მშენებლობა, ახლა კი უმაღლესი დონის სპორტული ობიექტები გაქვთ. ეს ნიშნავს, რომ მეტი ადამიანი შეძლებს ზამთრის სპორტით სარგებლობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, ზოგიერთი მათგანი კი მომავალში ჩემპიონიც გახდება, რომლითაც ქვეყანა იამაყებს.

საქართველოს შეუძლია ზამთრის სპორტის განვითარება, რასაც დრო დასჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას შეძლებთ. თქვენ იამაყებთ არა მხოლოდ ძიუდოსით და მოჭიდავეებით, არამედ ზამთრის სპორტითაც. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ბათუმში, ფიგურულ სრიალში ქართველი სპორტსმენი ინგა გურგენიძე ერთ-ერთი ლიდერია. ვხვდებით, რომ ქართველები ასპარეზობენ ბიატლონში, ალპურ თხილამურებში და ეს იმის ნიშნავს, რომ ქვეყანა ამ მიმართულებით უფრო და უფრო წინ მიდის“ - აღნიშნა **კაპარლოსმა**.

ოლიმპიის თამაშა გულს ასწიო

თქვენ ამ ოლიმპიადით თამაშა ისე მაგალია ასწიო, რომ რუმინეთისთვის რთული იქნება ფესტივალის ასე კარგად ჩატარება, - ამის შესახებ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, სპიროს კაპარლოსმა განაცხადა და „ბაკურიანი - 2025“ შეაჯამა.



კაპარლოსმა ოლიმპიადის შეფასება მაღალიერების გამოხატვით დაინყო და ფესტივალის წარმატებულად ჩატარებაში ორგანიზატორების როლი ხაზგასმით აღნიშნა.

„ძალიან ბედნიერები და ილბლიანები ვართ, რომ გვყავს მამუკა ხაბარული და სხვა ორგანიზატორები; მოხალისეები, ვინც ფესტივალის ყველა მონაწილის ცხოვრება გააღამაზა. საქართველოში გავატარეთ მთელი კვირა, 7 შთამბეჭდავი დღე და ბედნიერები ვართ - ჩვენ, დელეგაციები, რომ ასეთი ფანტასტიკური შეჯიბრება ჩატარდა. სრულყოფილი პირობები იყო შექმნილი - ეს არის, რისი თქმაც შემიძლია.“

„ბაკურიანი 2025“ 9 თებერვალს გაიხსნა. 16 თებერვალს გამართულ ოფიციალური დახურვის ცერემონიაზე, დროშა მომავალ მასპინძელ ქვეყანას - რუმინეთს გადაეცა. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი 2027 წელს, ქალაქ ბრამოვში ჩატარდება.

„ბაკურიანი - 2025“ დასრულდა



ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „ბაკურიანი - 2025“ დასრულდა.

ასპარეზობაში, სადაც 45 ქვეყნის ზამთრის სპორტის სახეობის მომავალი ოლიმპიელები მონაწილეობდნენ, საქართველომ მედლების საერთო ჩათვლაში XV ადგილი დაიკავა. ჩვენს ქვეყანას ერთადერთი ოქროს მედალი, ფიგურულ ციგურაობაში, 15 წლის **ინგა გურგენიძემ** მოუტანა. ქართველმა სპორტსმენებმა ასევე ძალები სცადეს სამთო თხილამურებით სწრაფდაშვებაში, სლალომში და ბიატლონში. სულ კი, ფესტივალში 8 ჩვენებურმა

იასპარეზა, რაც მათთვის სამომავლოდ უდიდესი გამოცდილება იყო.

ოლიმპიური ფესტივალის კიდევ ერთი დადებითი ამბავი ისაა, რომ ქვეყანას ზამთრის სახეობების რამდენიმე ინფრასტრუქტურული ობიექტი შეემატა. ბაკურიანში მოეწყო თანამედროვე მოთხროვნის დონის ბიატლონის ტრასა. თბილისსა და ბათუმში აშენდა ყინულის მოედნები დარბაზები, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობას - შოკეის, ფიგურულ ციგურაობასა და შორტ ტრეკს მოემსახურება.

ინგა გურგენიძე ოქროთი გახვასარა

ინგა გურგენიძე ოლიმპიური ფესტივალის „ბაკურიანი 2025-ის ჩემპიონისა - ისტორიული ოქროს მედალი საქართველოსთვის.



პირველად ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ისტორიაში საქართველოს წარმომადგენელმა ოქროს მედალი მოიპოვა.

ისტორიულ შედეგს მიაღწია ინგა გურგენიძემ, რომელმაც ფიგურულ ციგურაობაში შეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. გულოცავთ ამ დიდ წარმატებას თავად სპორტსმენს, მის მწვრთნელებს, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციას, სპორტის გულშემატკივრებს.

მომავალმა ჩემპიონმა ბათუმის ყინულის სასახლეში მედლისკენ სვლა მოკლე პროგრამიდან დაიწყო, როდესაც მესამე საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

რა. შემდეგ ქართველმა მოციგურავემ გაცილებით უკეთ იასპარეზა და მსაჯებისგან საუკეთესო ქულებიც (71.90) დაიმსახურა. გურგენიძეს ორივე პროგრამის ჯამში 128.97 ქულა დაუგროვდა, ეს მაჩვენებელი კი ოქროს მედლის მოსაპოვებლად საკმარისი გამოდგა.

გასათვალისწინებელია, რომ ქართველ მოციგურავეს უპირატესობა აღმოაჩნდა. ფესტივალის პირველ ქართველ ჩემპიონს ოქროს მედალი სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა გადასცა.

ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ისტორიაში საქართველოს დღემდე სამი მედალი ჰქონდა მოპოვებული და სამივე ვაჟთა ფიგურულ ციგურაობაში. ახლა ამ კოლექციას ინგა გურგენიძის ოქრო შეემატა.

სულირ საგზლად გაყვებათ



ნესით და რიგით, XXI საუკუნეში რალამ უნდა გაგვაკვიროს, მაგრამ ტექნოლოგიური ბუმის ეპოქაშიც კი მშენიერების ალქმის უნარი არ უნდა დაკარგოთ და კეისარს კეისრისა უნდა მივუზღაო.

ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნის და დახურვის ცერემონიის შესახებ მოგახსენებთ, პომპეზურობასთან ერთად სისადავითაც რომ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს და უკვე მერამდენედ გააცისკროვნა ჩვენი თეთრი მარგალიტის - ქათქათა ბაკურიანის იგავიშენდომელი სანახები.

უპირველესად, მაღლომ დაუენიყარი სანახაობის რეუისორს - **ბაქარ ბაქარაძეს**, რომელმაც ჩვეული პროფესიონალიზმით და გემოვნებით დადგა ის ზღაპარი, სულიერ საგზლად რომ გაჰყვება პოპულარული კურორტის ათასობით სტუმარს.

როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერი, თუნდაც გენიალური ჩანაფიქრის ხორცშესხმას არანაკლებ დიდოსტატური შემსრულებლები სჭირდება. აბა, რა უნდა ვთქვათ ახალ ანსამბლ „აფხაზეთის“ ნახევარსათიან ხორუმზე, „ერისიონის“ ცეკვა ქართულსა თუ კახაბერისა და ხანუმების გათანამედროებულ ძველ პიტთა პოპერზე?

მოკლედ, თოვლზე გამართულმა საზეიმო ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სპორტისა და ხელოვნების ჭეშმარიტი ძალა.

საქართველოს მოთხილამურეთა შედეგები



ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე გიგანტურ სლალომში იასპარეზეს სამთო-მოთხილამურეებმა: **მიორბი ჯაჟარაძემ**, **ირაკლი ხარბიანმა**, **იასონ ვეზდენმა** და **მილა გულუღანმა**, ასევე ბიატლონში იასპარეზა შოი ქურუკიანმა.

პირველი დაშვებისას სტარტზე 90 მოთხილამურე გავიდა, მაგრამ მათ შორის 14-მა ტრასა ბოლომდე ვერ დაასრულა.

ჩვენი გუნდიდან საუკეთესო შედეგი **ირაკლი ხერგანის** აღმოაჩნდა, რომელმაც ფინიშის ხაზი 52.98 წამში გადაკვეთა და პირველი ცდის შედეგად 48-ე ადგილზე გავიდა. შესაბამისად 64-ე და 65-ე ადგილზე გავიდნენ **გიორგი ჯაჟარაძე** (55.16) და **იასონ ვეზდენი** (55.67). **გოგა გულუღანს** კი პირველი დაშვებით 70-ე მაჩვენებელი (56.53) ჰქონდა.

მეორე ცდაზე, სადაც ასევე 14-მა მოთხილამურემ ტრასა ბოლომდე ვერ დაასრულა, უკეთ გამოვიდა **ირაკლი ხერგანი** - პირველი დაშვებისგან განსხვავებით ნაკლებ დრო მოანდომა ტრასის გავლას - 52.06 წამში 41-ე ადგილზე გავიდა, ორივე დაშვების შედეგად კი საბოლოოდ 43-ე ადგილი ერგო.

შეადარებთ უკეთ ისრიალეს **იასონ ვეზდენმა** (54.56) და **გიორგი ჯაჟარაძემ** (54.79), რომლებსაც მეორე ცდაზე შესაბამისად 54-ე და 55-ე შედეგები ჰქონდათ, ორივე დაშვების შედეგად კი **გიორგი ჯაჟარაძემ** და **იასონ ვეზდენმა** ადგილები გაცვალეს.

11-საფეხურიანი ნისვლა ჰქონდა **გოგა გულუღანს** (55.98), რომელმაც 59-ე ადგილი დაიკავა. ორი ცდის ჯამში კი 59-ე ადგილზე გავიდა. ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიურ ფესტივალზე იასპარეზა ბიატლონისტმა **შიო ქურუკიანმა**. 12,5 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლაში 1:03:49.9 შედეგით 64-ე ადგილზე გავიდა. ქართველი ბიატლონისტი უკეთესი შედეგის მიღწევას 14 თებერვალს 7,5 კილომეტრზე სპრინტში შეეცდებოდა.

მეცენატი და კეთილშობილი რაინდი



არ ჩაიყოფენ. დღეს ადამიანებმა სული მოითქვეს, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლები ყველას ახსოვს არა მარტო სიღრმეებით, არამედ ყაჩაღობის, დაშინების, რეკეტის და სხვა ათასი ჯურის მავნებლობით. ასეთ პირობებში ბატონ თამაზმა შეძლო ასეთი ბიზნესის წამოწყება და განვითარება, რომლის მაგალითები იმდროინდელ საქართველოში ძალიან ცოტა იყო. მან შეძლო რაინდში არსებული „ჩითახევის“-ს სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც შესის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს თავისი უფლებები შეუნარჩუნდა, ზოგი დახინაურდა სხვადასხვა მალალ თანამშრომლებზე. სააქციო საზოგადოების მართვა იოლი არ იყო. ამდენად ბატონმა თამაზმა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მხარდაჭერით, თავის თავზე აიღო შესის მართვა და პირველსვე წელს მთავრდება შედეგი დადო. ელექტრო ენერჯის გამოშვება მკვეთრად გაიზარდა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა თანამშრომლის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ასამაღლებლად, გაიზარდა მოთხოვნები შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და დისციპლინის ამალღების საქმეში, შედეგად არ დააყოვნა, ბიუჯეტში კანონით გათვალისწინებული შენატანების მობილიზება ყოველთვიურად იზრდებოდა. ერთი სიტყვით საქმე აუწყო, მაგრამ როგორც ყოველთვის, მითუმეტეს იმ ავად სახე-ნებელ წლებში, როცა კანონი არ კანონობდა, რეკეტი და ყაჩაღობა ქვემოდანაც და ზემოდანაც ლამის ოფიციალურად იყო „დაშვებული“.

ბორჯომში, სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის დროს, არაერთ კარგ ადამიანს შევხვდი, რომელთა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაში. ასეთთა შორისაა ბორჯომის გამორჩეული კოლორიტი, ინჟინერ-ენერჯეტიკოსი, ცნობილი ბიზნესმენი ბატონი თამაზ სერგოძე გელაშვილი, რომლის 70 წლის იუბილეს აღნიშვნა ჩემდა სამწუხაროდ, მიუძღურა მიზეზების გამო ვერ შევძელი, თუმცა მეტად თავმდაბალ პიროვნებას არავინ შეუწუხებია, ოჯახთან და მეგობრებთან აღნიშნა საიუბილეო თარიღი. ამ დღეებში ამაგდარ და გამორჩეულ პიროვნებას სათანადო პატივი მინდა მივავაგო იმ მრავალი ქველმოქმედებისათვის, რომელსაც იჩენდა გაჭირვებულ წლებში. ახალსაც ამეხსენა და რესტავრაციას უტარებდა ეკლესიებსა და მონასტრებს, რომელიც მან უანგაროდ აკეთა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე. როგორ არ აღვნიშნო მის მიერ გახეთ „ბორჯომისათვის“ სერიოზული დახმარების, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ანტიტერორისტული და მიმდებარე აპარატურის შექმნის და ამოქმედების, ასობით ადამიანზე ფულადი დახმარების განხორციელება და გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსების, ზამთრის პერიოდში მოქალაქეებისათვის დიზელის სანავის მიწოდების და სხვა მრავალი ფაქტები.

მისი ცხოვრების გზა კარგი მაგალითია, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა ემსახურო შენს ხალხს, სამშობლოს, საზოგადოებას, იგი ბუნებისაგან არის დაჯილდოებული დიდულოვნებით, გულმონიერებით, ადამიანობის განსაკუთრებული ხიბლით, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის უბედულო ნიჭით და ქარიზმით... უსურვო ბატონ თამაზს დამატებითა და მშვიდობიანი წლები, დიდხანს ყოფილიყოს თავისი ოჯახის, მეგობრებისა და ნაღდი ბორჯომელების გასახარად. უფალი იყოს მისი მფარველი, ამინ!

მეშველ საქართველოს პარლამენტის ორი მიხვევის დეპუტატიც გახდა, ბევრი მეგობარიც შეიძინა (მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯავახიძე, ზურაბ ქაფიანიძე და სხვა). ბევრიც იბრძოდა, არაერთი საჩივარი ქონდა შეტანილი რესპუბლიკის პროკურატურაში, რამდენიმე ნერილიც გამოაქვეყნა გაზეთ „ასავალ-დასავალი“, რომ სამართალს პური ეჭამა, მაგრამ კერაფერს გახდა. ჩითახევისი და სხვა ბიზნესიც ათასნაირი ხრიკებით, ზენოლებით, ჩარევა-პირევი დაათმობინეს, აიძულეს უარი ეთქვა ყველაფერზე და დღეს დეპუტატის პენსიით ცხოვრობს. იმის მაგივრად, რომ მაშინდელ და დღევანდელ ხელისუფლებას კანონით ეხელმძღვანელა, დაზარადა ადამიანი, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია. ხელი ააღებინე!

მისი ცხოვრების გზა კარგი მაგალითია, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა ემსახურო შენს ხალხს, სამშობლოს, საზოგადოებას, იგი ბუნებისაგან არის დაჯილდოებული დიდულოვნებით, გულმონიერებით, ადამიანობის განსაკუთრებული ხიბლით, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის უბედულო ნიჭით და ქარიზმით... უსურვო ბატონ თამაზს დამატებითა და მშვიდობიანი წლები, დიდხანს ყოფილიყოს თავისი ოჯახის, მეგობრებისა და ნაღდი ბორჯომელების გასახარად. უფალი იყოს მისი მფარველი, ამინ!

პატივისცემით, თამარ სხუნიაშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.
გ.ზ. „კვირის პალიტრა“, 10-16 თებერვალი, 2025 წ.

პროგრამის გამარჯვებული დიდი ინტერესით სხვალები მომავალ გამოწვევას



ზურა სტუმარი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინა-რეაბილიტაციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. ზურა ცოტა ხნის წინ ერასმოუსის პროგრამის გამარჯვებული გახდა. პროგრამის ფარგლებში ის, 5 თვის მანძილზე, თურქეთში, ქალაქ იზმირში თინაზ-თეფეს უნივერსიტეტში გააგრძელეს სწავლას. ზურა 20 თებერვალს მიფრინავს თურქეთში, თუმცა ჩვენ მანამდე დაუკავშირდით მომავალ ნეიროეპილოლოგს და ვთხოვეთ საკუთარ ემოციებზე და მომავალ გეგმებზე ესაუბრა:

ზურა, პირველ რიგში გილოცავთ ამ უდიდეს წარმატებას. პროფესიულ წინსვლას გისურვებთ. კითხვას რაც შეეხება, საიდან შეიტყვეთ ერასმოუსის პროგრამის შესახებ და რომ გაგვიზიარო შენი ემოციები, რამდენად მოულოდნელი იყო, როდესაც გამარჯვების შესახებ შეიტყვე?

- მაღლობა მოლოცვისათვის. ერასმოუსის პროგრამის შესახებ უნივერსიტეტმა გვამცნო, როდესაც უშუალოდ კონკურსი გამოცხადდა, რამდენიმე დღიანი ფიქრისა და მომავალი გამონერვების ანონ-დანონის შემდგომ გადავწყვიტე, რომ კონკურსისათვის მზადება დამეწყო. დაახლოებით 2 კვირა დასჭირდა, რომ მომეგროვებინა ყველა საჭირო დოკუმენტი გასაუბრებისათვის. იმდენად მოულოდნელი იყო გამარჯვება, როდესაც შემატყობინეს გამარჯვების შესახებ, რამდენიმე წუთი ვერ ვიჯერებდი და ვამომხმბდი, ნუთუ მართლა მე გავიმარჯვე? უნივერსიტეტიდან მე დაკიდეთ ერთი გოგონა გამარჯვებული. საოცარი გრძობაა, როდესაც გავიანზრე, რომ შანსი მომეცა გავეცნო თურქულ სამედიცინო სფეროს და შემდგომ საქართველოს საკუთარ იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

ზურა, პროექტი სწავლის სრულ დაფინანსებას გულისხმობს?

- დიახ. თანხაში შედის ორმხრივი ავიაბილეთი. სწავლის სრული დაფინანსება, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულია. ასევე მოიცავს ყოველთვიურ სტიპენდიას, რომლიდანაც დაფარავ საცხოვრებლის საფასურს და რაც დარჩება, გამოვიყენებ ყოველდღიური ხარჯებისათვის.

როგორი მოლოდინები გაქვს, როგორ გამოიყენებ თურქეთში მიღებულ ცოდნას?

- საკმაოდ დიდი მოლოდინები მაქვს და დიდი ინტერესით ვხვდები ახალ გამონერვებს, რათა გავეცნო თურქული მედიცინის შიდა სამზარეულოს და ზედმიწევნით ავითეისო ყველაფერი, რომელიც შემდგომ პირადად მე დამეხმარება ჩემს კარიერულ განვითარებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოსა და თურქეთის ჯანდაცვის სისტემა განსხვავებულია და ვფიქრობ, სხვა ქვეყნის სამედიცინო სფეროს გაცნობა ჩვენი სამედიცინო სფეროს ცოდნასთან ერთად კიდევ მეტად გააუმჯობესებს ჩემს უნარებს, რომ მომავალში გავხდე ჩემი საქმის საუკეთესო სპეციალისტი.

ესაუბრა ნაბო მელიქიძე

სხვისი შრომის დაფასება ისევე...

გაზეთ „ბორჯომის“ 30 იანვრის №4-ში გამოქვეყნებულ სტატიამ პენსიონერი, ბატონი ნოდარ ნოზაძე, ქალაქში არსებული სანიტარული უნერჯობის შესახებ აუხსოვლად და აღნიშნა, რომ ქუჩების სანახევროდ იგვება, მეგზოვთა მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი კი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ასევე ქუჩების სავსეა ძაღლებისა და ცხენების ფეკალიებით. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ იმათთვის, ვინც არ იცის, რომ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების უმეტესობის სამუშაო დღე ფაქტურად, გამთენილისას იწყება. ანუ იმ დროს, როდესაც ბორჯომელთა უმრავლესობას ღრმა ძილით სძინავს და მათი უმრავლესობა რეალურად ამ ადამიანებს ვერც კი ხედავენ. სამაგიეროდ, უნდა ხედავდნენ და გვიღობდნენ დასუფთავებულ ქუჩებს. ჩვენ დავინტერესდით ბორჯომელთა მოსაზრებით აღნიშნული საკითხის მიმართ და ქუჩაში გამოკითხვა ჩავატარეთ:


რაც ევალეობათ, კი ვხედავთ, რომ ბევრი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. პასუხისმგებლობა ყველამ ვიქონიოთ და უფრო მეტი წესრიგი გვექნება. არ მინდა, სივრცეში დასაწყობდნენ, მაგრამ თქვენ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება ვნახე, სადაც პირველსვეს მეტაბოლიზმი მიმართ ჯარბები ნესდებდა. მე პირადად მივესალმები, რომ გამაქვირონ მათზე კონტროლი იქნებ და რამე გვეშველოს. - აღნიშნა ჩვენთან საუბარში 38 წლის ქალბატონმა ნატალიამ.

გადაამიყრა. მგონი, დაბალი შეგნების საკითხთან უფრო გვაქვს საქმე. ვიკა 43 წლის: - რამდენიმე დღე ბაკურიანში ვისვენებდი და საკუთარი თვლით დავინახე, რომ ნაგვის მანქანებს ნაგავი ეგაქეთ, მაგრამ მოსახლეობა ელოდის სისწრაფით ისევ ყრის. ვიცი, რომ საკურორტო სეზონია, თუმცა, მთელი დღე ვერ იმუშავეს მანქანა ერთ ლოკაციაზე, მოსახლეობის შეგნების დონე თუ არ ამალდა, ისე ვერაფერს გახდებოდა. ბორჯომშიც დამინახავს, რომ გვიან საათებშიც დასუფთავებენ ქუჩებს, სკვერებს, მაგრამ გაზაფხულზე მტკვარს თუ გადახედავთ, დაინახავთ, რამდენი ნაგავი მოაქვს. მტკვარი მეგვცოდნებათ. მახსოვს, რამდენიმე თვის წინ, მტკვრის სანაპიროსთან, ერთმა მოქალაქემ სათითო გამოიტანა ნაგავი და პირდაპირ მტკვარში გადაუძახა. ჯარიმა რომ იყოს დანესხული, ამას ვერ გაბედავენ. მხოლოდ მეგზოვებზე ნუ შევიწყნებდი ხელს.

მარიამი 16 წლის: - მე, სკოლაში, დღის 9 საათზე მივდივარ და ქუჩები დაგვილი მხედება. სამწუხაროდ, მეტი მთელი დღის მანძილზე ისევ მოსახლეობა ანაგვიანებს. პირადად ჩემი თანატოლებისთვისაც ბევრჯერ მიმიცია შენიშვნა, რომ საკუების პაკეტები და მცირე ზომის ნარჩენები ნაგვის ურნაში ჩაყარონ. თუ მინცადამინც ნაგვის ურნა ახლოს არ დგას, სახლშიც ბევრჯერ ნამიღია ხოლმე და მერე

ბათ. მახსოვს, რამდენიმე თვის წინ, მტკვრის სანაპიროსთან, ერთმა მოქალაქემ სათითო გამოიტანა ნაგავი და პირდაპირ მტკვარში გადაუძახა. ჯარიმა რომ იყოს დანესხული, ამას ვერ გაბედავენ. მხოლოდ მეგზოვებზე ნუ შევიწყნებდი ხელს.

- მე ახალ უბანში ვცხოვრობ და ცოტა ხნის წინ ჩემი სახლიდან, მტკვრის სანაპირო ზოლის გავლით მომინა ფეხით გადაადგილებამ და გული სიხარულით ამეგსო, როცა ვნახე მეგზოვების მიერ გულდასმით დასუფთავებული ტერიტორია, მითუმეტეს დღის პირველი საათი იქნებოდა. ეს შემთხვევა კი პირველი არაა, ისინი დღის ნებისმიერ მონაკვეთში მუშაობენ. როცა კარგი კეთდება, ეს უნდა დაგინახოთ. რაც ამ ბოლო დროს მანუხებს მე და თითქმის ყველა ბორჯომელს, ყველა კუთხე-კუნჭული ძაღლებისა და ცხენების ფეკალიებითაა სავსე. რეალურად არც ერთ მეგზოვს არ ევალება, რომ მთელი დღის მანძილზე გამოვიდეს და ფეკალიები წმინდოს. არც ერთი მათგანი არაა თავლის და ბოსლის თანამშრომელი.



გამოკითხვა ნატალია მუსხელიძე



პუდოცაპო!

ჩემ საყვარელ და ძვირფას დედას, ამაგდარ ბებოს - ნათელა ჩუბუკაშვილს ვულოცავთ დაბადების 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენ საიმედოდ.

საყვარელი მოჯახი

ბორჯომს - ჩემს მშობლიურ ქალაქს ვეფერები!

როცა ბორჯომში შემობრუნდები, მწვანე ბუნება დაგხვდება გზაში, გრილი წივი დაგბრუნებს და ურთულავა გაგიღოს ტანში. გაყვები ბაღის მალაქ სეიფებს, გადხარებული მალაქ ტოტები, თითქოს ვილაქას დაუხატავს, ან არის ქვეყნის ხეთა მოდები. ეს ხომ ბორჯომის სილამაზაა, მესმის საამო ყიყიკის ბგერა, ვეღარ გაუძლებ საიმის ტალკვეს,

გსურს წამოიწყო ტკბილი სიმღერა. გადმოქუხს კლდეზე თეთრად ჩანჩქერი, დაბლა მზუილით წყალს ემატება, გადახვევია ტალღა-ტალღას და ეს გადახვევა შენც გენატრება. მინწყალს დალევ და თან გაგრძობდი, სიამოვნებით რომ გაგაყოფოლებს, გადახვევით კვლავ ერთმანეთს და მადლიერებით მინ დაბრუნდებით!

პასილ ქვიხსაქაქი 25/II 2025 წელი

ლექსის ავტორი პასილ ქვიხსაქაქი ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დგვარიდანაა, დღეს ახალციხელთა სიძეა, ლამაზი და შინაარსიანი ოჯახის თავკაცია. სამცხე-ჯავახეთის ამ ლამაზი ქალაქის თითქმის ყველა კულტურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეა, მის გარეშე არაერთი მასობრივი ღონისძიება არ იმართება. ამიტომაც უყვართ და პატივს მიაგებენ პოეზიის დიდ მოსიყვარულეს და ადრეულ წლებში არაერთი შთაბეჭდილი ლექსის ავტორს. ბატონ ვასილის ლექსები ჩვენს გაზეთშიც დაბეჭდილია, ბორჯომისადმი დიდი ნოსტალგია კი ავტორს, ხანდაზმულობის მიუხედავად, დღესაც არ განუღებია. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ბატონ ვასილს მშობლიური ქალაქის, ჩვენი რედაქციის გახსენებისა და არდავინყებისათვის.

საქართველო ისტორიის ფრასლაჰიდან

„უდრეკი იყო დედოფალი“



ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო პროფესიულ თეატრში შესანიშნავი ღონისძიება გაიმართა, რომელიც ქეთევან დედოფლის გარდაცვალებიდან 400 წლის იუბილეს მიეძღვნა. ის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორის, ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიების, მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.



ღონისძიების ინიციატორები გახლდნენ წმინდა დავით აღმაშენებლის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მამა არჩილი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მამა გერასიმე, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა ილარიონი.

ღონისძიების სულისჩამდგმელი კი გახლდათ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება და №6 საჯარო სკოლის ისტორიის კლუბი (ხელმძღვანელი ქალბატონი მარინა ბერუაშვილი). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: მარიამ ბუზალაძე, მარიამ გრიგალაშვილი, მარია, ელენე გელაშვილები, მარიამ დავითიანი, ავთო კვეციანიძე, ელისაბედ ბალიანი, №3 საჯარო სკოლიდან: ლიზი ადვადე და იაკობ ნაკაშიძე, რომლებმაც შესანიშნავად გაართვეს თავი მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას, იყვნენ კარგი დეკლამატორები. ცეკვა „სამაია“ და „ქართული“ შესარულეს ანსამბლ „იმედის“ მოცეკვავებმა: ქეთა გაბელიამ, ანანო ინასარიძემ, მარიამ და დავით ტაბატაძეებმა (ქორეოგრაფი თეა გაბელია).

„ქართლის დედის“ როლს ასრულებდა ანასტასია ჩაღუნელი, რომელსაც ფილით ხელში წინ უძღოდა ქართულ ჩოხაში გამონყობილი ორი პატარა მოცეკვავე: სერაფიმე ხუციშვილი და ლუკა მინაშვილი. ქართლის დედას ლექსები უძღვნეს: იაკობ ნაკაშიძემ, შიშო სალაღიაშვილმა, დანიელ ჯღუნიასვილმა, ნოდარ მესხიშვილმა,

„დედაო, მაგ თასით ერი დამილოცე, ჯიში შემინახე მსხმოიარე, მზესთან წილნაყარი მხარე დამილოცე, ტყავზე - ვეფხისაზე მწოლიარე, აკვნები გაიმირავლე, ჩვილები დამილოცე, დედაო მაგ თასით ერი დამილოცე“ - უღერდა სტრიქონები.

ბოლოს, გაგი დოლიძის სიმღერის ფონზე შესრულდა „ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!“ საქართველოს დროშებით გამოვიდნენ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ვაჟკაცები. შესანიშნავი სანახაობა გახლდათ, როგორც თემატურად, ასევე უიზუალურად. ღონისძიებას ესწრებოდა უამრავი ადამიანი, სასულიერო პირები, წმინდაღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის დედაები (მადლონა მათ), ბიბლიოთეკის თანამშრომლები, სხვადასხვა ტაძრის მრევლი, მოსწავლეთა მშობლები და ბორჯომელი საზოგადოება. ბევრი ფეხზე მდგომი უცქერდა სანახაობას. საშურის დასის წევრმა, მოწვეულმა სტუმარმა, გუჯა გოგალაძემ, ნაიკითხა ლექსი ვაჟა-ფშაველას „ჩვენება“. მოსწავლეები გაბეჭდნენ იმეორებდნენ ლექსიდან - „აღსდგება საქართველო.“ ბორჯომელმა პოეტებმაც ანასტასია ჩაღუნე და დალი ბანცაძემ მიუძღვნეს სტრიქონები წამებულ დედოფალს. ნანა გაიხარაშვილის ლექსი ნაიკითხა ნოდარ მესხიშვილმა.

სცენაზე ავიდა მამა არჩილი (ბაღდავაძე), რომელმაც დამსწრე საზოგადოებას, ღონისძიების მომზადებაში ჩართულ ყველა მონაწილეს გულწრფელი მადლობა გადაუხადა, მათ შორის, ქალბატონ ნაირა ამანათაშვილს, ღონისძიების კოორდინატორს, ნაწული სალაღიაშვილს, №6 საჯარო სკოლის პედაგოგს, მარინა ბერუაშვილს.

დამსწრე საზოგადოება თვალცრემლიანი მადლობას უხდოდა შესანიშნავი ღონისძიების სულისჩამდგმელებს. ღონისძიების დასასრულს, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა, ქალბატონმა ნაირა ამანათაშვილმა მადლობა გადაუხადა მონაწილე მოსწავლეებს და სამაგისტრო სიგელებით დააჯილდოვა.

ნაწული სალაღია

ბიბლიოთეკების ღონისძიებების კოორდინატორი

მიტოვებული სახლი (ჩანახატი)

„სახლი ჯერ დგას თავჩაქინდრული... თუმც არვის ელის, გადაწურვია იმედი და... მინ არვინ ბრუნდება მესამე წელი...“

...მიტოვებულ სახლებსა და ეზოებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ, ისეთ მძიმე სევდაზე მოყვებოდნენ, ადამიანებს რომ წარმოგედნაც არ გვაქვს. მე ასე მჯერა...

ნა-სახლ-არ-ი... ჩამესმის და ამ სიტყვის გაგონებისას სისხლი მეყინება... მაყრია-ლებს... მე, თითქოს უსასრულობაში გამგზავნეს... ფერგახუნებული სახლის კედლები ავადმყოფი ადამიანის სახეს ემსგავსება ხოლმე, რაღაც სენს რომ ებრძვიან, თითქოს რაღაც ტკივილს რომ განიცდიან...

წარმოიდგინეთ, რას იტყვოდნენ სახლები, რომელთა ფანჯრებში ოდესღაც ჩამქრალი სინათლე არა და არ ინთება; სახლები, რომელთა საკვამურებსაც უკვამურება მიუსაჯეს ოდესღაც; სახლები, რომელთა ერთადერთი სტუმრები დროდადრო სარეცხის თოკებზე ჩამომხსნადარი ჩიტები არიან...

მხოლოდ ცრემლები, ადამიანთა დაღვრილი ცრემლები დილის ცვართან ერთად ხან წვიმად და ხან კიდე თოვლის ფანტელებად სტუმრობენ მიტოვებულ სახლებს... სახლებს, რომელთაც მახსოვრობა ჩვენსავით აქვთ, მათ ვერგამოთქმულ ტკივილებს კი დანახვა უნდა...

თითქოს მთელი სხეულით ვგრძნობ ხოლმე, თუ როგორი ცივია ასეთი სახლის კედლები, მთლიანად ხავსმოდებულნი, გულსაკლავად რომ გარინდებულან სახურავჩანგრეულნი... გამაყრუებელი სიჩუმის ხმაური რომ გცემს...

ერთ-ერთი ასეთი მიტოვებული სახლი ქალაქის შუაგულში, დუმბაძის ქუჩის დასაწყისში დაობლებულა. აქ, წლებია არავინ ცხოვრობს. ერთმანეთის ამაღარ დარჩენილი ეზო და სახლი კი იცდიან და იცდიან... ექვს! ამ ეზოშიც სიჩუმე დგას ჯიუტად და ხმაურს აცრემლებს... თუკი ვინმეს გაუგონია, იტყვის, რომ ყველაზე გულისგამანვრილებელი ხმაური სიჩუმემ იცის სწორედ. იქვე, დიდი ქვა საძირკველთან გდია, ვით ლედი, და ცდილობს გაამაგროს, რათა საყრდენი საბოლოოდ არ გამოეცალოს... მაგრამ, როდემდე?!


ჩავეულებო ხოლმე ამ მიტოვებულ ეზოს, სიჩუმისაგან დაყრუებულ სახლს და ვხვდები, თითქოს რაღაც დარდი გამომაყოლებს. მივდივარ ახლაც და ვფიქრობ, მაინც რა საჭიროა ეზოში გაზაფხულის მწვანე, ხასხასა ბალახის ამოსვლა, თუ ბავშვები პანანინა ფეხებით არ გათელავენ, ან თოვლის მოსვლა რის მაქნისია, თუკი სახლამდე მიმავალ ბილიკს ადამიანების ნაკვალევი არ დაეტყობა?!... ნარ-ეკლებს რომ დაუფარავს მთელი ეზო... დახვასებული კედლები, სინათლე, რომელსაც არავინ ანთებს; კარი, რომელიც არასდროს იღება.

აქ, აყვავებულმა ხეებმა არ მოგატყუოთ. ამ ეზოში გაზაფხული მანამ არ მოვა, სანამ ჭიჭირის საკეტს უხანგი არ მომორიდება... ეს ყვავილები კი, სიკვდილის პირას მისული კაცის ლიმილივით სევდიანები, ნამდვილი გაზაფხულის მოსვლას როდი ნიშნავს... სწორედაც რომ ბუნების ნესია, თორემ ამ ოდესღაც ნაფერებ და აქამდე მიტოვებულ ხეებს, აბა, რა ყვავილებათ?!

რამდენჯერაც აუვულ-ჩაუვული ამ სახლს, სულ იმას ვფიქრობ, ნეტავ, რატომ მიატოვეს-თქო.

თუკი შესაძლებლობა მაქვს, ყოველთვის გვერდს ვუვლი, თვალის გასწორება მიჭირს. შეღამებულზე მაინც, ისეთი ჩუმი ხმაური გამოდის იქიდან, რომ გეგონება, მიტოვებულ სახლს ეშმაკები დაეპატრონენო.

მახსოვს, ერთ ჩვეულებრივ საღამოსაც, ამ სახლთან მიახლოებულს, ზაფხულის შხაპუნა წვიმა წამომენია და ვიფიქრე, რაც უნდა მოხდეს, მის ნახევრად ჩამოგრებულ აივანზე მაინც შევიყუდრებ-მეთქი. სამი-ოთხი ნაბიჯი გადავდგი, ფეხები მძიმედ ავნი და უშალ მის აივანზე აღმოვჩნდი. რაღაცნაირად ავიტყუე. თავს ორი ფიქარი მიფარავდა, თორემ მთელ აივანზე, როგორც გარეთ, ისე წვიმდა. მონებერმა ქარმა კარი აჭყარაღა და გაალო. ასე მიგონა, ამ სამინებმა სახლმა სტუმრად მიმიწვია-მეთქი. - მოდი, ერთი, შევალ, რა იყო წინათ, იმის გაგებას მაინც ვშძლებ, ან ასე უმინყალოდ ვინ მიატოვა-მეთქი.



უპატრონო სახლში ხომ ისე ვერ გაივლი, იატაკზე შენი კვალი არ დატოვო, ამ მტკვრზე დარჩენილი ჩემი კვალიც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რომ რომელიმე დეტექტიური ნიგნის გარეკანის ილუსტრაციისათვის გამოდგებოდა... და მეგონა, ახლა ამ უზარმაზარი ურჩხულის მუცელში ვიყავი, სადაც ნებაყოფლობით აღმოვჩნდი. ჭერიდან და კედლებიდან ობობების ვეება „ჰამაკები“ დაშვებულყოფი ძირს. თუ ჩემს ნაკვალევს არ ჩავთვლით, აქ, ყველგან ნაცრისფერი ხავერდის მტვრის საფენი იყო გადაებული.

ნეტავ რა დაამაჯა ასეთი, რომ ასე უმონყალოდ მიატოვეს. ჩაუხანგული კარების ანჯამების ჭრილობა გამცა პასუხი, უპატრონო კარმა ისე გაიჭრა, გეგონებოდა მთელ სახლს გააყრიალა ტანში... კედელთან ალბატროსის მტკივან ფრთასავით ჩამოგდებული, ნახევრად ჩამოგლეჯილი შპალერი ქანაობდა. ვინ იცის, იგი ამ ყოფაში ედავება ქარს... ვინ იცის...

კედელთან მივედი და შპალერის ნახევს ხელი ვკიდე, ქვევით ჩამოვნიე. წლებიგან გახვევებული ისე გაუხვევებულიყო, რომ არც კი ჩამოიხია. მაშინ ძალით ჩამოვფხრინე ერთი დიდი ნაგლეჯი, ოდესღაც ბაცი ვიზდისფერ-თეთრი ყვავილებით. უცხად იმის გაფიქრებაც შემომენიდა, ალბათ ბედნიერი დღეებიც ხომ ახსოვს ამ სახლს-თქო... მერე მეორე ადგილას უფრო დიდი ნაგლეჯი მოვაფხრინე კედელს და ჩემს ფერხით რვეულის შეყვითლებული ფურცლები დაცვივდა. და მე ახლა ობობების სამფლობელოში ვიყავი... ფურცლები ხელში ავიღე. იმ სინათლეზე, რაც ფანჯრიდან აღწევდა, იმის ნაკითხვა მოვახერხე, რომ ყვითელ ფურცლებს პირველ გვერდზე „დელოურები“ ეწერა. ოთახის მტვრისგან ისე ვიყავი სულმხეხუთული, რომ იმ ოთახში ამის მეტის ნაკითხვა არ შეუძლო, ფილტვები მტვრით მქონდა სავე.

უცხად ავიხვევებ სხეული და გამოვქანდი გარეთ, სახლი კი დავტოვე აჩქარებით... მეც მივატოვე...

ექვს! ჩვენ მივდივართ, სახლები კი გველოდებიან გულისფანცქლით. ყოველ წამს მზად არიან ჩაგვიხელონ, მოგვეფრონ - მთავარი, ჩვენ მივიღებთ... მანამ მივიდეთ, სანამ დრო შთანთქმავდეს და გაანადგურებდეს მათ... სანამ ჯერ კიდევ გავხსოვს და ვახსოვართ, სანამ ჯერ კიდევ გავიყვარს და ვუყვარავართ...

უპატრონო სახლში ჩემი შესვლისა და გამოსვლის კვალი მეც დავტოვე. ხელში სახლში ნაპოვნი გაყვითლებული „დელოურები“ მეჭირა და კითხვას ვინყვებდი... თან, შემოვიშველე ფიქრი - ამ ადგილს ხომ თეთრი თოვლის თაქმალი გადაეფარება მალე და დაფარავს თავისი უნაზესი სითეთრით-თქო... და ცოტა სიმსუბუქე ვიგრძენი...

„რა გითხრა, შეილო, რით გაგახარო... ექვს, წლებმა მტორა დათვის ბრჭალებით, რამდენი ცრემლი უნდა მაყაროს, ცამ უცოდველი ნუკრის თვალებით. ჩემი ხარისა დახრეს ქარებმა, ძვლებში შემოიჭრენ ფიქრის მახრები მალე ფიფქებით დაიფარება, მიტოვებული ძველი სახლებიც...“

მოამზადა ნანა კავლიშვილი



ბორჯომის №1 საჯარო სკოლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კოლეგას მანანა რაზმაძეს დის მაია რაზმაძის გარდაცვალების გამო

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59 რედაქციაში შიქლაშა გამონაქვანოს ისეთი წარწერით. რედაქცია ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდას. მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იხებულება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57. saari.ltd@gmail.com borjomipress9@gmail.com